



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

ამირეჯიბი თენგიზ კონსტანტინეს ძე



თ. ამირეჯიბი

ამირეჯიბი თენგიზ (გიზი) კონსტანტინეს ძე (30. IX. 1927, თბილისი, – 9. III. 2013, იქვე), პიანისტი და პედაგოგი. საქართველო. სახ. არტიტი (1982). 1950 დაამთავრა მოსკოვ. კონსერვატორია (კ. იგუმნოვისა და ლ. ობორინის კლასები), 1953 – თბილ. კონსერვ. ასპირანტურა (ხელმძღვ. ა. თულაშვილი), 1952-იდან ეწეოდა პედ. მოღვაწეობას თბილ. ვ. სარაჯიშვილის სახ. სახელმწ. კონსერვატორიაში (1972-იდან იყო სპეც. ფორტეპიანოს კათედრის გამგე, 1977-იდან – პროფესორი). მისი მოწაფეები იყვნენ საერთაშ. კონკურსების ლაურეატები – მ. დოიჯაშვილი, ე. ბოლქვაძე, ა. კორსანტია. სტუდენტობის წლებიდან ეწეოდა საკონცერტო მოღვაწეობას. ა-ის პიანისტური ხელოვნება გამოირჩეოდა არტისტიზმით,

ღრმა მუსიკალობით, ვირტუოზულობით. განსაკუთრებული ოსტატობით ასრულებდა შოპენის ნაწარმოებებს. ეწეოდა ქართ. მუსიკის პროპაგანდას (იყო ს. ნასიძის I და II საფორტეპიანო კონცერტების პირველი შემსრულებელი). რუსეთის ფირმა „მელოდია“ გამოუშვა გრამფირფიტა-გიგანტი ა-ის ჩანაწერებით (ფ. შოპენისა და ს. პროკოფიევის ნაწარმოებები). მიღებული აქვს საქართველო. სახელმწ. პრემია (1992).